მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

დაწესებულება	შპს "სკოლა- ნიკე"
საიდენტიფიკაციო კოდი	245563000
რეგიონი	აჭარა
რაიონი	ბათუმი
მისამართი	ლერმონტოვის ქ. N102ა
საფოსტო ინდექსი	6000
დაწესებულების ვებ-გვერდი	nikeschool.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	Skolanike@gmail.com
ტელეფონი/ფაქსი	210410
დაწესებულების ხელმძღვანელი	
სახელი და გვარი	იზოლდა ტაკიძე
ტელეფონი	593 340203
ელ-ფოსტა	izotakidze@mail.ru.
დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა	
პედაგოგი	59 ძირითადი, 4 გამონთავისუფლებული დამრიგებელი.
სერტიფიცირებული პედაგოგი	11 პედაგოგი
მოსწავლე/სსსმმოსწავლე	არ ჰყავს
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების ნომერი	N35, 13/07/2016

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე.....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	460 მოსწავლე

დაწესებულებაახორციელებს

დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას	■
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას	■
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას	■
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	☐

ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	ბრძანება N 921. 08.10.2018.
მონიტორინგის ჯგუფის წევრები	ქეთევან ბოტკოველი - ჯგუფის თავმჯდომარე. იანინა გიგიბერია - ჯგუფის წევრი
ვიზიტისგანხორციელების პერიოდი	10-12 ოქტომბერი. 2018 წელი
დასკვნის მომზადების თარიღი	15 ოქტომბერი. 2018 წელი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

I. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლოსასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

აღწერა	შპს „სკოლა-ნიკეს" მისია შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. მისიის მიხედვით, სკოლისათვის პრიორიტეტულია აქტიური და მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე მოსწავლის აღზრდა, პიროვნული განვითარებისათვის შესაფერისი გარემოს შექმნით, ინდივიდუალური შესაძლებლობისა და საჭიროების გათვალისწინებით. შპს „სკოლა-ნიკეს" სასკოლო სასწავლო გეგმა თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლაში მოქმედებს 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (07.09.2018. ოქმი N1). სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია: • სკოლის მისია; • ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია საფეხურების მიხედვით; • სასწავლო წლის კალენდარი; • დღის რეჟიმი; • სასკოლო საათობრივი ბადე; • გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; • საგნობრივი კათედრები;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე.....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა;
- მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);
- ინკლუზიური განათლება;
- სადამრიგებლო პროგრამა.

სწავლება მიმდინარეობს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების გამოყენებით. აღნიშნული სახელმძღვანელობისა და სხვა დამხმარე რესურსების ჩამონათვალი წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი სავალდებულო საგნის სახით მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია:

1. I კლასი
   ა) პირველი უცხოური ენა - ინგლისური (დამატებითი 2 საათი კვირაში);
   ბ) ეთიკა (1 საათი კვირაში).
2. II კლასი
   ა) პირველი უცხოური ენა - ინგლისური (დამატებითი 2 საათი კვირაში);
   ბ) ეთიკა (1 საათი კვირაში);
   გ) მსოფლიო ლიტერატურა (1 საათი კვირაში).

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

3. III კლასი
   ა) პირველი უცხოური ენა - ინგლისური (დამატებითი 1 საათი კვირაში);
   ბ) მეორე უცხოური ენა - რუსული (2 საათი კვირაში);
   გ) ეთიკა (1 საათი კვირაში);
   დ) მსოფლიო ლიტერატურა (1 საათი კვირაში).
4. IV კლასი
   ა) პირველი უცხოური ენა - ინგლისური (დამატებითი 1 საათი კვირაში);
   ბ) მეორე უცხოური ენა - რუსული (3 საათი კვირაში);
   გ) ეთიკა (1 საათი კვირაში);
   დ) მსოფლიო ლიტერატურა (1 საათი კვირაში).
5. V კლასი
   ა) პირველი უცხოური ენა - ინგლისური (დამატებითი 1 საათი კვირაში);
   ბ) მეორე უცხოური ენა - რუსული (დაემატა 1 საათი კვირაში);
   გ) ეთიკა (1 საათი კვირაში);
   დ) მსოფლიო ლიტერატურა (1 საათი კვირაში).
6. VI კლასი
   ა) მათემატიკა (დამატებითი 1 საათი კვირაში);
   ბ) პირველი უცხოური ენა - ინგლისური (დამატებითი 1 საათი კვირაში);
   გ) მეორე უცხოური ენა - რუსული (დაემატა 1 საათი კვირაში);
   დ) ეთიკა (1 საათი კვირაში);
   ე) ქართული (დამატებითი 1 საათი კვირაში);
   ვ) მსოფლიო ლიტერატურა (1 საათი კვირაში).
7. VII კლასი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ა) მათემატიკა (დამატებითი 1 საათი კვირაში)
ბ) პირველი უცხოური ენა - ინგლისური (დამატებითი 1 საათი კვირაში);
გ) მეორე უცხოური ენა - რუსული (დაემატა 1 საათი კვირაში);
დ) მსოფლიო ლიტერატურა (1 საათი კვირაში).

8. VIII კლასი
ა) მათემატიკა (დამატებითი 1 საათი კვირაში);
ბ) პირველი უცხოური ენა - ინგლისური (დამატებითი 2 საათი კვირაში);
გ) მსოფლიო ლიტერატურა (1 საათი კვირაში);
დ) მუსიკა (0,5 საათი კვირაში);
ე) ხელოვნება (0,5 საათი კვირაში).

9. IX კლასი
ა) მათემატიკა (დამატებითი 1 საათი კვირაში);
ბ) პირველი უცხოური ენა - ინგლისური (დამატებითი 2 საათი კვირაში);
გ) მსოფლიო ლიტერატურა (1 საათი კვირაში).

10. X კლასი
ა) ქართული (დამატებითი 1 საათი კვირაში);
ბ) პირველი უცხოური ენა - ინგლისური (დამატებითი 2 საათი კვირაში);
გ) მსოფლიო ლიტერატურა (1 საათი კვირაში).

11. XI კლასი
ა) ბიოლოგია (დამატებითი 1 საათი კვირაში);
ბ) პირველი უცხოური ენა - ინგლისური (დამატებითი 2 საათი კვირაში);
გ) მსოფლიო ლიტერატურა (1 საათი კვირაში).

12. XII კლასი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ა) ქართული (დამატებითი 1 საათი კვირაში);
ბ) პირველი უცხოური ენა - ინგლისური (დამატებითი 2 საათი კვირაში);
გ) მათემატიკა (დამატებითი 1 კვირეული საათი);
დ) ისტორია (1 საათი კვირაში).

მშობელთა მოთხოვნით სკოლაში დაიშვა გერმანულისა და ფრანგული ენების სწავლება - 2 კვირეული საათი მე-6 - მე-10 კლასებში.
სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას წრეების სახით, არჩევანის უფლებით:

- კალათბურთი
- ფრენბურთი
- ფეხბურთი
- ხალხური ცეკვის წრე
- გუნდი
- ხატვა- დიზაინი

მოსწავლეს აქვს უფლება თანხის დამატების გარეშე აირჩიოს მისთვის სასურველი 2 წრე.
ეროვნული გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი მომსახურების სახით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ასევე გახანგრძლივებულ სწავლებას (I-VIII კლასები), სადაც მასწავლებლების მხრიდან ხორციელდება მოსწავლეთა კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინება და დამატებითი მომსახურება.
სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია დამატებითი სავალდებულო საგნებისა და გახანგრძლივებული წრის სასწავლო მიზნები, მეთოდები და შედეგები.
2018-2019 სასწავლო წლისათვის არჩეული სპორტის სახეობებია:

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი. არჩევითი საგნებად სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზა: X-XI კლასებში - ხელოვნების ისტორია; XII კლასში - მსოფლიო კულტურა. ხელოვნების ისტორია, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნით, უნდა ისწავლებოდეს ორი სემესტრი. სკოლას გათვლილი ჰქონდა ორი წლის მანძილზე (ოთხ სემესტრზე). მსოფლიო კულტურა, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნით, უნდა ისწავლებოდეს ორი სემესტრი. სკოლას განსაზღვრული ქონდა XII კლასისათვის და გათვლილი იყო მხოლოდ 1 სემესტრზე. შესაბამისად, ორ სემესტრიანი 1 მოდული შუაში უნდა შეწვეტილიყო პირველი სემესტრის შემდეგ. სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია არჩევითი საგნების ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით. სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და შეცვალა არჩევითი საგნები: X კლასში - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: თეორიულ-პრაქტიკული კურსი, რომელიც ესგ-ს მიხედვით, ასევე, 1 წელზეა გათვლილი; XI კლასში - ხელოვნების ისტორია, რომელიც ესგ-ს მიხედვით, ასევე, 1 წელზეა გათვლილი; XII კლასში - კინოხელოვნება, რომელიც არის ორ მოდულიანი და თითო სემესტრიანი. ესგ-ს მიხედვით შესაძლებელია ერთი მოდულის არჩევაც.
დადასტურება/დანართი	• სასკოლო სასწავლო გეგმით; • პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით N1. 07.09.2018.; • ადმინისტრაციასთან გასაუბრებით; • კათედრების ოქმებით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

	• პედაგოგებთან გასაუბრებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ა" პუნქტი

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

აღწერა	სკოლაში სწავლა მიმდინარეობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა: სახელმწიფო ენისა და ლიტერატურის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საზოგადოებრივი მეცნიერებების (აქვე შედის "მე და საზოგადოება"), სპორტისა და ესთეტიური აღზრდის, მათემატიკის და ისტ-ის, უცხოური ენებისა და დაწყებითი კლასების კათედრები. სკოლას შემუშავებული აქვს კათედრების მუშაობის დებულება, სადაც გაწერილია კათედრის ფუნქციები. კათედრების პორტფოლიოებში თავმოყრილია საგნის თემატური გეგმები და კათედრების სხდომების ოქმები. კათედრების პორტფოლიოებში წარმოდგენილია ასევე, ჩასატარებელი შემაჯამებელი სამუშაოების მინიმალური რაოდენობა. უკვე ჩატარებული შემაჯამებელი სამუშაოსათვის წარმოდგენილია ნიმუში, შესაბამისი მიზნებითა და შედეგებით. შემაჯამებელ დავალებას ახლავს სტანდარტის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება და შეფასების რუბრიკა.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

	სკოლაში დამრიგებლები მუშაობენ დებულების შესაბამისად. თითოეულ დამრიგებელს აქვს პორტფოლიო, რომელშიც ინახება სადამრიგებლო პროგრამა. აღწერილია სკოლის სააღმზრდელო მუშაობის ხედვა, დამრიგებელთა მოვალეობები და ფუნქციები. სადამრიგებლო პროგრამაში ჩამოყალიბებულია მიზნები და ამოცანები, სადამრიგებლო საათის დროს განსახილველი თემები.
დადასტურება/დანართი	• სასკოლო სასწავლო გეგმით; • კათედრების დებულებებით; • სადამრიგებლო პროგრამით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ბ" პუნქტი

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

აღწერა	შპს „სკოლა-ნიკეში" მოსწავლეთათვის შექმნილია სწავლისა და განვითარებისათვის თანაბარი შესაძლებლობა. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის ხედვა ინკლუზიური განათლების შესახებ, კონცეფცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრინციპები და მექანიზმი. ასევე, შექმნილია მონიტორინგის და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეფასების ჯგუფი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	სკოლას ასეთი საჭიროების მოსწავლე ამჟამად არ ჰყავს, მაგრამ, არის მზაობა სრულფასოვანი ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად.
დადასტურება/დანართი	• სასკოლო სასწავლო გეგმით; • ინკლუზიური განათლების პროგრამით; • ადმინისტრაციასთან გასაუბრებით; • პედაგოგებთან გასაუბრებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „გ" პუნქტი

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

აღწერა	სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის პირობები, გამოცდის ტიპები. განმავითარებელი შეფასების მიზნით პედაგოგები დაწყებითი კლასის მოსწავლეების რვეულებში წერენ კომენტარებს, აძლევენ რეკომენდაციებს (მასწავლებლები უფრო ხშირად მიმართვენ სიტყვიერ კომენტარებს).

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

	საგაზო და საშუალო საფეხურზე მასწავლებლები რუბრიკებს იყენებენ, როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი შეფასების მიზნით. მოსწავლეთა შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და ცნობილია მოსწავლეთა მშობლებისათვის. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში უზრუნველყოფს მშობელთა ინფორმირებას სკოლის შინაგანაწესისა და მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ. სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს შემუშავებული აქვს გამოცდების ჩატარების გრაფიკი, რომელიც განხილული იყო 2018 წლის 7 სექტემბრის N 1 პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.
დადასტურება/დანართი	• სასკოლო სასწავლო გეგმით; • საგნობრივი კათედრების პორტფოლიოებით; • შეფასების რუბრიკებით; • პედაგოგებთან გასაუბრებით; • ადმინისტრაციასთან გასაუბრებით; • მოსწავლეთა რვეულებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „დ" პუნქტი

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

აღწერა	სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. მშობელთან ურთიერთობის ფორმები განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით და სადამრიგებლო პროგრამით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის დროს ან კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებებით. ყოველი პარასკევი არის მშობლების დღე. მოსწავლეთა მშობლებს აქვთ უფლება დაესწროს ნებისმიერ გაკვეთილს, ნებისმიერ დღეს, მხოლოდ ამის შესახებ საჭიროა დამრიგებლის წინასწარ გაფრთხილება. დამრიგებლები, მოსწავლეთა შესაძლებლობების სრულად გამოვლენის მიზნით, მშობლებისაგან ყოველი წლის დასაწყისში ითხოვენ საკუთარი შვილების დახასიათებას, წლის ბოლოს კი, თავად აწვდიან მათ მიერ შემუშავებულ დახასიათებებს. მშობლებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა ამგვარი თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა პიროვნული თვისებების გაუმჯობესების მაგალითები. სკოლაში არსებობს მიმოწერის რვეულები, რომლის საშუალებითაც მშობლები მუდმივად იგებენ სიახლეებს საკუთარი შვილების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, ეცნობიან რეკომენდაციებს. მშობლებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მათთვისაც და მათი შვილებისთვისაც ცნობილია შფასების კრიტერიუმები.
დადასტურება/დანართი	• შინაგანაწესით; • დამრიგებლის დებულებით; • მასწავლებლებთან გასაუბრებით; • მშობლებთან ურთიერთობის დებულებით; • მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

	მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ე" პუნქტი

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

აღწერა	შპს „სკოლა-ნიკეს" შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმი, რომელიც შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება: მასწავლებელთა შეფასება, კათედრის თავმჯდომარის მუშაობის შეფასება, დამრიგებლის მუშაობის შეფასება, სადამრიგებლო საათის ჩატარების შეფასება, მოსწავლეთა გაცდენა–დაგვიანებებისა და დისციპლინური გადაცდომის მონიტორინგი, საგნობრივი სტანდარტის მიღწევის მონიტორინგი, მოსწავლეთა შეფასება განმსაზღვრელი შეფასებით, მოსწავლეთა შეფასება განმავითარებელი შეფასებით, შემაჯამებელი დავალებების თემატიკის, ფორმისა და გრაფიკის შესაბამისობა სასკოლო სასწავლო გეგმასთან, საგნის სწავლების ხარისხის დინამიკა I სემესტრი და II სემესტრი, გაკვეთილებზე დაკვირვება. მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვები – სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით სასწავლო წლის ბოლოს მიმდინარეობს პედაგოგთა, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა. პედაგოგები ესწრებიან გაკვეთილებზე ერთმანეთს, აძლევენ უკუკავშირს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, სკოლაში შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც პერიოდულად ესწრება გაკვეთილებს, გაკვეთილებს პერიოდულად ესწრება დირექციის წარმომადგენელიც. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებენ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმს. ამის საფუძველზე ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესება.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

დადასტურება/დანართი	• „სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმით"; • შევსებული ურთიერთდასწრების ფორმებით და კითხვარებით; • ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან გასაუბრებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი I-ის მე-3 მუხლიმითს „ვ" პუნქტი

II. მატერიალურირესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:

აღწერა	შპს "სკოლა-ნიკე" მდებარეობს ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N102ა. სკოლის 4 სართულიანი შენობა, საერთო ფართით 1980.27 კვ.მ., განთავსებულია 1200.00 კვ.მ-ის მიწის ფართზე. რეესტრის ამონაწერით ასევე დასტურდება, რომ სკოლა ფლობს 956.00 კვ.მ. ფართს, რომელზეც „სკოლა-ნიკეს" მოწყობილი აქვს სპოტული მოედანი და სკვერი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

მიწის (უძრავიქონების) საკადასტრო კოდი	N 245563000
დადასტურება/დანართი	• ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდი N05.26.03.059; • ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდი N05.26.03.065; • ადმინისტრაციასთან გასაუბრებით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი.

ზ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

აღწერა	სკოლის შენობაში განთავსებულია 30 საკლასო ოთახი, 2 ხელოვნების კაბინეტი (22 კვ.მ.), 1 ლაბორატორია (22 კვ.მ.), 1 ბიბლიოთეკა (45.კვ.მ.), 1 სასადილო (45კვ.მ.), 1 სპორტული დარბაზი (91კვ.მ.), 1 სააქტო დარბაზი (213.38 კვ.მ.), 2 თავისუფალი ოთახი განაყოფებისთვის, 1 ექთნის ოთახი, 1 სამასწავლებლო, 1 დირექტორის კაბინეტი და 1 კანცელარია. ყველა საკლასო ოთახს ახლავს პატარა სასაწყობე ოთახი, რომელშიც ინახება 1-2 მაგიდა და გაკვეთილისთვის საჭირო სხვადასხვა რესურსი. საერთო ჯამში საკლასო ოთახებში სულ 479 ერთადგილიანი, 17 ორადგილიანი მაგიდა და 500 სკამია. შესყიდვის დოკუმენტაციის თანახმად სკოლა საერთო ჯამში ფლობს 500 სასკოლო მაგიდას და სკამს.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

	სკოლის სხვადასხვა კაბინეტში განთავსებულია ასევე სხვადასხვა ზომის და ფორმის მაგიდა და სკამი, მათ შორის 100 სკამით აღჭურვილია სააქტო დარბაზი. სკოლის პირველ სართულზე ერთი ოთახი გამოყოფილია ავტო სკოლისთვის, რომელსაც ცალკე შესასვლელი აქვს და პირებს, რომლებიც ამ ოთახით სარგებლობენ კავშირი არ აქვთ სკოლის შიდა სივრცესთან,
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით; • ხელშეკრულებით; • შესყიდვის დოკუმენტაციით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ" ქვეპუნქტი.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

აღწერა	სკოლას აქვს 91 კვ.მ ფართის სპორტული დარბაზი და 2 ღია სპორტული მოედანი. ერთი ღია მოედნის ფართი შეადგენს 572 კვ.მ-ს, ხოლო მეორე მოედნის ფართი შეადგენს 223 კვ.მ-ს. მოედნები. შემოღობილია მაღალი გალავნით. ორივე მოედანზე დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები. დიდ მოედანზე განფენილია ხელოვნური საფარი. სკოლის ეზოში გაშენებულია ლამაზი, გამწვანებული სკვერი (370 კვ.მ.), რომლის გადახურულ ნაწილში განთავსებულია მაგიდები და მერხები. სკოლის დირექციის განმარტებით, სკვერის გამწვანებაში და მოვლაში მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას. სკვერი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

	გამოიყენება, როგორც დასასვენებლად, ასევე საჭიროების შემთხვევაში გაკვეთილების ჩასატარებლად. სკოლის განკარგულებაშია შემდეგი სპორტული ინვენტარი: კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის ბურთები, ფრენბურთის და კალათბურთის ბადეები, ბადმინტონი, ჭადრაკის დიდი სადემონსტრაციო დაფა, ჭადრაკის 22 კომპლექტი, მაგიდის ჩოგბურთის კომპლექტი. იგეგმება სპორტული ინვენტარის განახლება და გამრავალფეროვნება.
დადასტურება/დანართი	• ადმინისტრაციასთან გასაუბრებით; • მოსწავლეებთან გასაუბრებით; • ზედნადებებით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტი.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

აღწერა	საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული კომპლექტი განთავსებულია 22 კვ. მ-ის ოთახში, რომელშიც დგას კარადა, მაგიდები და სკამები. დიდ ფანჯარასთან ახლოს დამონტაჟებულია გამწოვი. პატარა ოთახში, რომელიც თან ერთვის კაბინეტს და გამოყოფილია მისგან კარით, არის ონკანი და სარკმელი.
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

	• შესყიდვის დოკუმტაციით; • სასაქონლო ზედნადებებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტი.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

აღწერა	სკოლის ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. დენის მიწოდებასთან დაკავშირებით სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული „ენერგო პრო ჯორჯიასთან", წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით „ბათუმის წყალთან" და გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით შპს „სოკარ ჯორჯია გაზთან". სკოლაში გათბობა ხორციელდება ცენტრალური გათბობის სისტემით. სკოლაში საერთო ჯამში არის 16 სველი წერტილი, მათ შორის 1 ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით; • შესყიდვის დოკუმენტაციით; • გადახდის ქვითრებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე.....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

	მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

აღწერა	სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკის 45 კვ.მ-ის ოთახი. ბიბლიოთეკის შესასვლელში გამოკრულია მუშაობის საათები, შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება. არსებული ლიტერატურა დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. საერთო ჯამში წიგნადი ფონდი მოიცავს 3534 ერთეულს. ბიბლიოთეკაში აღირიცხება სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა გრიფირებული სახელმძღვანელო.
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით; • ბიბლიოთეკის დებულებით; • ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით; • ონლაინ რეჟიმში ექსელის ფორმატში აღწერილი წიგნების სიით; • შესყიდვის ქვითრებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

2.4 სკოლასაქვსადაპტირებულიგარემოსპეციალურისაგანმანათლებლოსაჭიროებებისმქონემოსწავლეთათვის

აღწერა	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის. ისეთი მოსწავლეებისათვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას, სკოლის შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია კაპიტალური პანდუსი. შენობის პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ყველა საჭირო კაბინეტი იმ შემთხვევისთვის, თუ შშმ მოსწავლე ვერ გადაადგილდება შემდეგ სართულებზე. ეს კაბინეტებია: ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, ხელოვნების კაბინეტი, კომპიუტერების ოთახი, 1 საკლასო ოთახი, სასადილო და სპორტული დარბაზი.
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით; • სასკოლო სასწავლო გეგმით; • მშობლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქა რთველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთიკომპიუტერი (სპეციფიკაციები) არაუმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

აღწერა	სკოლის კომპიუტერულ ოთახში განთავსებულია 12 ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერი. სამასწავლებლოში განთავსებულია 3 კომპიუტერი, დირექტორის კაბინეტში 1 და კანცელარიაში 2 კომპიუტერი. დოკუმენტაციის თანახმად, საერთო ჯამში სკოლას აქვს 23 კომპიუტერი, 5 ლეპტოპი და 2 კომბაინი (ქსეროქსი, პრინტერი და სკანერი). ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების სააბონენტო ხელშეკრულება გაფორმებულია ს.ს. სილქნეტთან, ხოლო ხელშეკრულება ჰოსტინგის და დომენის მიწოდების შესახებ გაფორმებულია შპს „ჯი-ემ-ემ"-თან. სკოლას აქვს 2 პროექტორი, ფოტოაპარატი, მაგნიტოფონი გამაძლიერებელი მიკროფონით და სხვა. სკოლის ვებ-გვერდია http://nikeschool.ge რომელიც ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის სიახლეების, კურსდამთავრებულების, სკოლის ისტორიის, კათედრების, კათედრების დებულებების შესახებ. მასზე განთავსებულია ასევე ფოტო გალერეა და საკონტაქტო ინფორმაცია. კომუნიკაციისათვის გამოიყენება ელექტრონულ ფოსტა skolanike@gmail.com სკოლას მიეცა რეკომენდაცია ვებგვერდის ოპერატიულად განახლების და მასზე მარეგულირებელი დოკუმენტების განთავსების შესახებ.
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით; • შესყიდვის ქვითრებით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

	• ვებ-გვერდით - http://nikeschool.ge; • სკოლის ელფოსტით skolanike@gmail.com; • დომენის ხელშეკრულებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი. დაკმაყოფილებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე" რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

2.6 **სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:**

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

ექსპერტი ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

აღწერა	სკოლის ყველა სართულზე, წესების დაცვით განთავსებულია 2 ცეცხლმაქრი, რომლებიც დატენილი და მოქმედია. ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია შესაბამისი სამსახურის მიერ დამზადებული საევაკუაციო გეგმები. სკოლაში არის ექიმის კაბინეტი. მასში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, მაგიდა, სამედიცინო კარადა. კარადაში ინახება საჭირო ვადიანი მედიკამენტები. შემუშავებულია ექთნის დებულება - ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები. კაბინეტში გამოკრულია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლაში წესრიგს და უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ დამრიგებლები, რომელთა მორიგეობის სიაც გამოკრულია სკოლის დერეფნებში. სკოლის შენობაში წესების დაცვით დამონტაჟებულია სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი უსაფრთხოების კამერები - 9 შიდა და 6 გარე კამერა. გარე კამერები 3 მეგაპიქსელიანია და აკმაყოფილებენ მოთხოვნილი სტანდარტის კრიტერიუმებს. შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტთან დაკავშირებით სკოლის დირექციას მიეცა რეკომენდაცია, რათა უფრო სრულად გაწერონ მექანიზმები და მიმართონ საგანგებო სიტუაციათა სამსახურს მასწავლებლების გადამზადებასთან დაკავშირებით.
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით; • საევაკუაციო გეგმებით; • დებულებით; • შესყიდვის დოკუმენტაციით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

	• მასწავლებლებთან გასაუბრებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ“ ქვეპუნქტი.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

აღწერა	დაწესებულებას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს 2018 წლის 08 სექტემბრის N1 სხდომის ოქმით. შინაგანაწესით განსაზღვრულია სამუშაო და დასვენების დრო; სკოლის სტრუქტურა და მართვა; სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები; დასკვნითი დებულებები. გაწერილია თანამშრომელთა სამუშაოზე აყვანის წესები, მათი ფუნქციები და მოვალეობები, ასევე ადმინისტრაციის ვალდებულებანი, შვებულების მიცემის წესი, ხანგრძლივობა და შრომითი ურთიერთობის შეჩერება, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, დისციპლინური წარმოების წესი, დისციპლინური წარმოების სახეები, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობები და სხვა. სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტებია ასევე პედსაბჭოს, კათედრების, ბიბლიოთეკის, მშობელთა ურთიერთობების დებულებები.
დადასტურება/დანართი	• შინაგანაწესით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

	• დებულებებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

აღწერა	სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო ერთწლიანი და სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სკოლის მიზნებზე დაყრდნობით, გამომდინარეობს სკოლის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმიდან და მიზნად ისახავს სკოლის ამოცანების შესრულებას. გასული სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი იყო მე -4 სართულის დაშენება და სტადიონის კეთილმოწყობა, რომელიც წარმატებით შესრულდა. დღევანდელი მონაცემებით სკოლა 4 სართულიან შენობაშია განთავსებული და აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი სტადიონი.
დადასტურება/დანართი	• 2017-2018 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით; • სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი.

2.9 დაწესებულებაშიმიმდინარეობსგამოცემულიაქტებისადაკორესპონდენციისაღრიცხვა

აღწერა	სკოლა აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი სისტემა, სადაც დეტალურად არის გაწერილი დოკუმენტაციის და სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესები. ყველა ჟურნალის წარმოება მიმდინარეობს სათანადო წესების დაცვით.
დადასტურება/დანართი	• საქმისწარმოების წესით; • შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალით; • გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნელით; • საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალით; • საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალით; • მოსწავლეთა მოძრაობის რეგისტრაციის ჟურნალით;
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

III. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

აღწერა	სკოლის სტრუქტურის და საშტატო განრიგის მიხედვით სკოლას ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორი, მენეჯერი სამეურნეო დარგში, საქმისმწარმოებელი,, ბიბლიოთეკარი, ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი, ინფორმაციული მენეჯერი, ფსიქოლოგი, IT მენეჯერი, ექთანი, დამლაგებელი(6), დარაჯი, მეთვალყურე. მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის თანახმად სკოლა-ნიკეში 2018 წლის 11 ოქტომბრის მონაცემებით ირიცხება 442 მოსწავლე და 59 პედაგოგი. მათგან 11-ს მინიჭებული აქვს უფროსი მასწავლებლის, 43-ს კი - პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი. 5 მასწავლებელს ამ ეტაპზე სტატუსი არ აქვს მინიჭებული. სკოლას ჰყავს 4 გამონთავისუფლებული კლასის დამრიგებელი, ხოლო სხვა პედაგოგები ითავსებენ დამრიგებლის ფუნქციასაც.
დადასტურება/დანართი	• მასწავლებელთა პირადი საქმეებით; • სერტიფიკატებით; • E-school-ის მონაცემებით; • ხელშეკრულებებით; • დირექციისა და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეებით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტით.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

აღწერა	დაწესებულების მასწავლებლები შერჩეული არიან „ ზოგადი განათლების შესახებ " საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა, სკოლაში მუშაობს ასევე 5 პედაგოგი, რომლებიც ამ ეტაპზე არ არიან ჩართულნი „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში". 2 პედაგოგის სქემაში ჩართვის მოთხოვნით წერილია გაგზავნილი მასწავლებელთა სახლში **(დანართი N1).** ერთი მათგანი დოქტორია, ხოლო მეორეს ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა და გავლილი აქვს 60 კრედიტიანი პროგრამა. დანარჩენ 3 მასწავლებელს ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა და ელოდება მაძიებლის პროგრამაში დარეგისტრირებას.
დადასტურება/დანართი	• მასწავლებელთა პირადი საქმეებით; • წერილით „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში" ჩართვასთან დაკავშირებით **(დანართი N1);** • სერტიფიკატებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი .....

	მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

აღწერა	სკოლის შინაგანაწესის VI თავით - შრომითი ურთიერთობის წარმოშობა - განსაზღვრულია პედაგოგისა და თანამშრომლის მიღების წესები, ხოლო IX თავში აღწერილია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის და საბოლოო ანგარიშსწორების წესები. X თავში განსაზღვრულია წახალისების ფორმები და დისციპლინარული პასუხისმგებლობა. წახალისების ფორმებად მიჩნეულია: სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით, ფასიანი საჩუქრით თუ ფულადი პრემიით დაჯილდოება და სხვა. ამავე თავის N 25 მუხლი განმარტავს დისციპლინარული დევნის საკითხებს, რომლის თანახმადაც დისციპლინარული დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით.
დადასტურება/დანართი	• სკოლის შინაგანაწესით;
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

აღწერა	შრომის კოდექსის მოთხოვნების დაცვით გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები სკოლის ყველა თანამშრომელთან. ხელშეკრულებებში განსაზღვრულია ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესიც.
დადასტურება/დანართი	• თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით; • ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „დ" ქვეპუნქტით.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

აღწერა	სკოლის პედაგოგები ჩართულნი არიან პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. დირექტორის ბრძანებით N01-02/24 შექმნილია სქემაში ჩართულ მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი, რომელშიც თავმოყრილნი არიან პედაგოგები ყველა კათედრიდან. სკოლაში შექმნილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დუკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია ზოგადი დებულებები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები და სტრატეგია, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, ადამიანური რესურსების მართვა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა და პროფესიული განვითარება.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	სკოლის მიერ შემუშავებულია ასევე, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. დოკუმენტის გაცნობის და მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ სკოლაში შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, რითაც ხორციელდება მასწავლებელთა სისტემატური შეფასება. შეფასების მიზანია დაეხმაროს მასწავლებლებს საჭიროების დადგენაში. მონაცემების შემდგომი ანალიზისთვის საკითხები განიხილება კათედრებზე. გავეცანით რიგი კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. მაგ მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა გაკვეთილებზე დასწრების და შეფასების კრიტერიუმები და მათ მიერ დაწერილი რეფლექსიები. სკოლა წლების განმავლობაში ზრუნავდა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მთელ რიგ ტრენინგებზე დასწრებას უფინანსებდა მათ. მაგ. სკოლამ 4 ინგლისურის მასწავლებელს დაუფინანსა ETI-ს საქართველოს ფილიალის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, დააფინანსა ასევე ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი.
დადასტურება/დანართი	• E-school-ის მონაცემებით; • ადმინისტრაციასთან გასაუბრებით; • ტრენინგის ჩატარების დამადასტურებელი გადახდის ქვითრით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

აღწერა	სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების, არსებული ინფრასტრუქტურის დათვალიერების და ვიზიტის პერიოდში ექსპერტების დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არის დაცულობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო. 2017-2018 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში და სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმაში პრიორიტეტებად არის გამოყოფილი ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, ესწრებიან გაკვეთილებს, საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობენ მასწავლებლებთან. ინტენსიურად იღებენ ინფორმაციებს მათი შვილების წარმატებების თუ წარუმატებლობის შესახებ. მოსწავლეების განვითარებას და მათი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენას ემსახურება მოსწავლეთა თვთმმართველობის ორგანოც. თვითმმართვლობის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან ერთად გეგმავენ შემეცნებით თუ გასართობ ღონისძიებებს. მაგ. მათი ორგანიზებით ჩატარდა მასწავლებელთა საერთაშორისო დღე, გახდი სპიკერი. სკოლის მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ოლიმპიადებსა და გაცვლით პროგრამებში. როგორც თავად მოსწავლეებმა აგვიხსნეს, მასწავლებლები, დამრიგებლები, დირექტორი აქტიურად არიან ჩართულნი მათ ცხოვრებაში და ყველაფერს აკეთებენ მათი შესაძლებლობების გამოსავლენად და ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დადასტურება/დანართი	• სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით; • დამრიგებლებთან გასაუბრებით; • დირექტორთან და დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებით; • მშობლებთან გასაუბრებით; • მოსწავლეებთან გასაუბრებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ვ" ქვეპუნქტით.

თანდართული დოკუმენტაცია:

დანართი N 1 - მასწავლებელთა სახლში გაგზავნილი წერილები

თბილისი, 30 ოქტომბერი 2018.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
ექსპერტი ----------